

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრემია განსაკუთრებული დამსახურებებისათვის ქართული მათემატიკის განვითარების საქმეში

პრემია ენიჭება 75 წლის ან მეტი ასაკის მათემატიკოსს, საქართველოს მოქალაქეს, რომლის სამეცნიერო მიღწევებმა წარმოაჩინეს ქართული მათემატიკური სკოლა საერთაშორისო მასშტაბით და რომელმაც აღზარდა საერთაშორისო აღიარების მქონე ქართველი მოწაფეები.

კანდიდატურის წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

წარმოდგენილ კანდიდატურებს განიხილავს ყრილობის სამეცნიერო კომიტეტის გაფართოებული სხდომა შემდეგი წესით:

1. პირველ ეტაპზე მოხდება დასახელებული კანდიდატებიდან 3 კანდიდატის შერჩევა ფარული კენჭისყრით, წარმომდგენთა თანდასწრებით. თუ წარმოდგენილი იქნება არაუმეტეს 3 კანდიდატისა, პირველი ეტაპის კენჭისყრა არ ჩატარდება და სხდომა გადავა პირდაპირ მეორე ეტაპზე.
2. მეორე ეტაპზე 3 შერჩეული კანდიდატის წარმომდგენი პირები წარმოადგენენ მათ მოღვაწეობას 10-15 წუთიან პრეზენტაციაში.
3. დახურული კენჭისყრით მოხდება გამარჯვებულის შერჩევა.

პრემირებული მათემატიკოსის ვინაობა გამოცხადდება ყრილობის დახურვის ცერემონიის დროს